ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 361

"8" დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.045.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე 3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.045.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 ნოემბრის №20.1359.1672 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, №12-16/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი №7-ში, 1-2 სართულზე, მდებარე 109.34 კვ.მ. ფართობის ბინა №3-ის (საკადასტრო კოდი: №01.15.07.017.045.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე რუსუდან გობეჯიშვილისთვის (პ/ნ: 01024061527) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე